

ურთიერთობის პროგრამა PLUS-ის პირობები

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში - ბანკი) ურთიერთობის პროგრამა PLUS-ის (შემდგომში - პროგრამა) პირობებს.

1. გამოყენებული ტერმინები

- 1.1. **კლიენტი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს სს „საქართველოს ბანკის“ მომსახურებით;
- 1.2. **პროგრამა** - ურთიერთობის პროგრამა PLUS, რომლის ფარგლებშიც კლიენტები (შემდგომში - პროგრამის მონაწილე) შეაგროვებენ PLUS ქულებს და გადაცვლიან სასურველ სერვისს ან/და საჩუქარზე, მიიღებენ უფასო სერვისებს ან/და სხვადასხვა ტიპის შეღავათს პროგრამაში მონაწილე პროვაიდერისგან (შემდგომში - პროვაიდერი).
- 1.3. **პროგრამის მონაწილე** - ბანკის კლიენტი, რომელიც ჩართულია ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში;
- 1.4. **კლიენტის PLUS სტატუსი** - პროგრამაში მონაწილის **სტატუსი** განისაზღვრება წინასწარ განსაზღვრული **კატეგორი(ებ)ის პროდუქტების** სარგებლობით. კლიენტის **სტატუსი** განაპირობებს რიგი საბანკო და არასაბანკო პროდუქტების სტანდარტებისგან განსხვავებულ ღირებულებას. კლიენტის **სტატუსის** მიხედვით შესაძლებელია არსებობდეს ქულების დარიცხვის განსხვავებული წესი.
- 1.5. **პროდუქტის კატეგორია** - ერთი ან რამდენიმე საბანკო პროდუქტი, რომელიც გაერთიანებულია ერთ კატეგორიაში და მისი/მათი სარგებლობით **კლიენტი** იძენს შესაბამის სტატუსს.
- 1.6. **PLUS ქულა (შემდგომში - ქულა)** - პირობითი ერთეული, რომელსაც ბანკი **პროგრამის** ფარგლებში PLUS ანგარიშზე აღრიცხავს.
- 1.7. **PLUS ანგარიში** - საბანკო ინფორმაციულ სისტემაში **კლიენტის** სახელზე გახსნილი არასაბანკო ანგარიში, რომელზეც ხდება **ქულების** აღრიცხვა.
- 1.8. **პროგრამაში მონაწილე პროვაიდერი** - პროგრამის პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც **პროგრამის მონაწილეს** უწევს უფასო ან/და შეღავათიან მომსახურებას
- 1.9. **სერვისი/მომსახურების ბალანსი - ქულების** სანაცვლოდ **პროგრამის მონაწილისთვის** ხელმისაწვდომი **სერვისი**, რომელშიც შესაძლებელია დაგროვილი **ქულების** გადაცვლა (სამგზავრო ბალანსის შევსება, მობილურის ბალანსის შევსება, კომუნალური გადასახადების გადახდა).
- 1.10. **სერვისის / მომსახურების ბალანსის ნომინალური ღირებულება** - სერვისის ღირებულება **ქულაში**, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს ყოველი კონკრეტული **სერვისისთვის**.
- 1.11. **PLUS კატალოგი** - ბანკის მიერ შედგენილი **საჩუქრების** ჩამონათვალი, რომელთა მიღება **პროგრამის მონაწილეს** შეუძლია წინამდებარე დოკუმენტით და კატალოგით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 1.12. **საჩუქარი** - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად **პროგრამის** ფარგლებში **პროგრამის მონაწილის** მიერ დაგროვებული **ქულების** გადაცვლის საფუძველზე **პროგრამის მონაწილისთვის** ხელმისაწვდომი **საჩუქარი**.
- 1.13. **საჩუქრის ნომინალური ღირებულება** - საჩუქრის ღირებულება **ქულაში**, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს ყოველი კონკრეტული **საჩუქრისთვის** საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 1.14. **შეკვეთის კოდი** - ბანკის ან ბანკის დისტანციური მომსახურება - ინტერნეტ ბანკის ან ურთიერთობის **პროგრამის** ვებგვერდის www.plus.ge-ის მეშვეობით გაცემული საჩუქრის **შეკვეთის კოდი**, რომელიც საშუალებას აძლევს **პროგრამის მონაწილეს** წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესების შესაბამისად მიიღოს მითითებული **საჩუქარი**.
- 1.15. **გადახდის ოპერაცია** - სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ბარათით ჩატარებული **გადახდის ოპერაცია**, რომლითაც **კლიენტმა** გადაიხდა ნივთისა და/ან მომსახურების საფასური, აგრეთვე ინტერნეტ ბანკის საშუალებით **კლიენტის** საბარათე ანგარიშიდან განხორციელებული საყოფაცხოვრებო (კომუნალური) და სხვა გადახდები;
- 1.16. **ქულების გადაცვლის ოპერაცია POS ტერმინალის გამოყენებით** - სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ბარათით ჩატარებული **გადახდის ოპერაცია**, როდესაც **კლიენტმა** ქულებით გადაიხდა ნივთისა და/ან მომსახურების საფასური;
- 1.17. **პრომო აქცია** - ბანკის მიერ ორგანიზებული წამახალისებელი აქცია, რომლის დროსაც მოქმედებს ბანკის მიერ განსაზღვრული შეღავათები, გაიცემა დამატებითი **ქულები** და/ან საჩუქრები.
- 1.18. **დავალიანება** - სხვადასხვა საფუძველზე, წარმომობილი ფულადი ან/და ნებისმიერი სხვა სახის ვალდებულება, რომელიც სრულად და ჯეროვნად არ არის შესრულებული **ბანკში** მოქმედი შესაბამისი პირობების შესაბამისად.
- 1.19. **რეკომენდაციის სისტემა** - **პროგრამის მონაწილის** მიერ საბანკო პროდუქტების კატეგორი(ებ)ის შექმნის მსურველი პირის (შემდგომში - რეკომენდებული პირის) შესახებ ბანკისთვის გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე რეკომენდებული პირის მიერ აღნიშნული **პროდუქტის კატეგორი(ებ)ის** შექმნის შემთხვევაში **პროგრამის მონაწილის** შესაბამისი **ქულებით** დასაჩუქრება.

1.20. **საშეღავათო პერიოდი** - განსაზღვრული კატეგორი(ებ)ის პროდუქტებით სარგებლობის შეწყვეტის შემდეგ კლიენტისთვის სტატუსის შემცირებამდე გასული პერიოდი.

2. პროგრამის ზოგადი აღწერა

2.1. პროგრამის ფარგლებში, ბანკი საშუალებას აძლევს პროგრამის მონაწილეს:

- დააგროვოს ქულები გადახდის ოპერაციების ჩატარებისას, ასევე მიმდინარე ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ნაშთის არსებობით, ასევე რეკომენდაციის სისტემის ფარგლებში და მათი მეშვეობით მიიღოს მისთვის სასურველი სერვისი/პროდუქტი/მომსახურება ან კატალოგის საჩუქარი.
- ასევე, წინასწარ განსაზღვრული პროდუქტების კატეგორიის ფლობით მიიღოს სტატუსი, რაც განაპირობებს რიგი საბანკო და არასაბანკო პროდუქტების სტანდარტულსგან განსხვავებულ ღირებულებას/შეღავათს.

2.2. ოპერაციები, დარიცხული ქულების რაოდენობა, საჩუქრის შეკვეთისა და მიღების წესები, პროგრამის სხვა პირობები განხილულია დოკუმენტის მომდევნო თავებში.

3. პროგრამაში გაწევრიანება

3.1. პროგრამაში გაწევრიანება შეუძლიათ კლიენტებს, რომელთაც არ აქვთ ბანკის წინაშე დავალიანება.

3.2. პროგრამაში გაწევრიანება ხდება განაცხადის საფუძველზე;

3.3. პროგრამის შეჩერება/დეაქტივაცია ხდება კლიენტის განაცხადის საფუძველზე ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში, ასევე ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული ბარათების აქტივაციისას ავტომატურად

3.4. პროგრამის მონაწილეებს აღარ დაერიცხებათ Express ბონუს ქულები, პროგრამაში გაწევრიანებისთანავე მათი ექსპრეს ქულები ავტომატურად დაკონვერტირდება ახალი პროგრამის შესაბამისი რაოდენობის ქულებში: 1 Express ბონუს ქულა = 2 PLUS ქულას.

4. პროდუქტის კატეგორია

- კატეგორია საბანკო ანგარიშები: ანგარიშთა პაკეტი (ფასიანი ანგარიშთა პაკეტი) ან სტანდარტული ან უნივერსალური ანგარიში, რომელშიც მომსახურების ყოველთვის საკომისიოს კლიენტი ან სახელფასო პროექტის ფარგლებში დამზადებული ბარათი ან American Express Rewards Card;
- კატეგორია ანაზრები: ვადანი/შეგროვებადი ტიპის ანაზარი ნაშთი ≥ 300 GEL;
- კატეგორია საკრედიტო ბარათები: ნებისმიერი საკრედიტო ბარათი
- კატეგორია ნებისმიერი სამომხმარებლო ტიპის ან ავტო სესხი, განვადება, აქტიური ოვერდრაფტი;
- კატეგორია იპოთეკური სესხი;

5. პროგრამის მონაწილის სტატუსი

5.1. პროგრამის მონაწილის სტატუსებია:

Classic + - კლიენტი, რომელიც ფლობს 2 სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტს და ჩართულია პროგრამაში.

Silver+ - კლიენტი, რომელიც ფლობს 3 სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტს და ჩართულია პროგრამაში.

Gold + - კლიენტი, რომელიც ფლობს მინიმუმ 4 სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტს;

Express + - კლიენტი, რომელიც ჩართულია პროგრამაში და ჯერ ვერ ამკაყოფილებს Classic+, Silver +, Gold+ სტატუსის მოთხოვნებს.

5.2. პროგრამის მონაწილის სტატუსის ცვლილება მეტი სტატუსისკენ ხორციელდება შესაბამისი კატეგორიის პროდუქტ(ებ)ით სარგებლობის დაწყების შემდგომ საბანკო დღეს, ხოლო ცვლილება ნაკლები სტატუსისკენ ხორციელდება შესაბამისი კატეგორიის პროდუქტ(ებ)ით სარგებლობის შეწყვეტიდან საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ.

5.3. საშეღავათო პერიოდი Classic+ სტატუსის კლიენტებისთვის შეადგენს 3 თვეს, ხოლო Silver+ და Gold+ სტატუსის კლიენტებისთვის - 6 თვეს.

6. ქულების დარიცხვა

- 6.1. **PLUS ქულების** დარიცხვისას, ბანკი ითვალისწინებს მხოლოდ იმ **გადახდის ოპერაციებს**, რომლებიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ მოთხოვნას:
- 6.1.1. **გადახდის ოპერაცია** ჩატარებულია საქართველოს ბანკის ნებისმიერი საგადახდო ბარათით, ასევე Pay Sticker-ითა და Tskapp აპლიკაციის გამოყენებით, გარდა ამერიკან ექსპრეს ბარათებისა.
 - 6.1.2. **გადახდის ოპერაცია** ჩატარებულია ავტომატური კომუნალური გადახდების სერვისის ფარგლებში;
 - 6.1.3. **გადახდის ოპერაცია** ჩატარებულია და საბანკო სისტემაში ასახულია **პროგრამაში** გაწვევრიანების შემდეგ და **პროგრამის** შეჩერების/დეაქტივაციის თარიღამდე.
- 6.2. **PLUS ანგარიშზე გადახდის ოპერაციების** შესაბამისად PLUS ქულების დარიცხვა წარმოებს შემდეგი წესით:
- 6.2.1. **კლიენტის** სტატუსი **Express +**: 1 ლარი =1 PLUS ქულა;
 - 6.2.2. **კლიენტის** სტატუსი **Classic+**: 1 ლარი =1,25 PLUS ქულა;
 - 6.2.3. **კლიენტის** სტატუსი **Silver+**: 1 ლარი =1,5 PLUS ქულა;
 - 6.2.4. **კლიენტის** სტატუსი **Gold+**: 1 ლარი = 1,75 PLUS ქულა;
 - 6.2.5. **ქულების** ასახვა **PLUS ანგარიშზე** ხდება **გადახდის ოპერაციის** საბანკო სისტემაში ასახვიდან მომდევნო საბანკო დღეს.
- 6.3. **რეკომენდაციის სისტემის** ფარგლებში **PLUS ქულების** დარიცხვისას ბანკი ითვალისწინებს **პროგრამის** მონაწილისგან მიღებულ მხოლოდ იმ **რეკომენდაციებს**, რომლებიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ მოთხოვნას:
- 6.3.1. **პროგრამის მონაწილის** მიერ **რეკომენდებული პირის** შესახებ მითითებულია: სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და დამატებით **პროდუქტის კატეგორია**, რომელსაც შეიძენს რეკომენდაციის ობიექტი.
 - 6.3.2. **რეკომენდებულ პირზე** უნდა იყოს მხოლოდ ერთი აქტიური **რეკომენდაცია**; თუ **რეკომენდებულ პირზე** დაფიქსირდება ერთზე მეტი **რეკომენდაცია**, უპირატესობა ენიჭება პირველად მიღებულ **რეკომენდაციას** და სხვა **რეკომენდაციები** მონაწილეობას არ იღებს **PLUS ქულების** დარიცხვისას.
 - 6.3.3. **რეკომენდაციის მოქმედების ვადა** განისაზღვრება 3 (სამი) თვის ვადით;
 - 6.3.4. **პროგრამის მონაწილეს** შეუძლია პარალელურად გაცემული ჰქონდეს 10 (ათი) მოქმედი **რეკომენდაცია**;
 - 6.3.5. **რეკომენდაციის სისტემის** ფარგლებში **კლიენტის** მიერ მითითებული **რეკომენდებული პირის** მონაცემები შეიძლება გამოიყენოს ბანკმა **მასთან** კომუნიკაციის მიზნით, რა დროსაც გააუფრებს, რომ ეს ინფორმაცია (**რეკომენდაცია**) აქვს **რეკომენდაციის გამცემისგან**;
 - 6.3.6. **რეკომენდებული პირის** მიერ **რეკომენდაციის მოქმედების ვადაში** შეძენილია რეკომენდაციაში მითითებული **პროდუქტის კატეგორია** ან კატეგორიები;
 - 6.3.7. **რეკომენდებული პირი** მის მიერ რეკომენდაციაში დასახელებული **პროდუქტის კატეგორიის** შეძენისას უნდა იყოს **პროგრამის მონაწილე**;
 - 6.3.8. **პროგრამის მონაწილე** თანახმაა, თუ **რეკომენდაციის სისტემის** ფარგლებში მასზე არსებობს რეკომენდაცია და ის შეიძენს შესაბამის **პროდუქტის კატეგორიას**, რეკომენდაციის გამცემს მიეწოდოს ეს ინფორმაცია.
 - 6.3.9. **რეკომენდაციის სისტემის ფარგლებში**, რეკომენდებული პირის მიერ რეკომენდაციაში მითითებული **პროდუქტის ან/და პროდუქტების კატეგორიის** რეკომენდაციის მოქმედების ვადაში შეძენის შემთხვევაში, რეკომენდაციის გამცემისათვის დასარიცხი **ქულების** რაოდენობა განისაზღვრება **პროდუქტის** მიხედვით:
 - კატეგორია ანაბრები: ვადიანი/შეგროვებადი ტიპის ანაბარი (ნაშთი >= 300) 500 PLUS ქულა
 - კატეგორია საკრედიტო ბარათი 1 000 PLUS ქულა
 - კატეგორია სამომხმარებლო ან ავტო სესხი (ნაშთი >=300) 500 PLUS ქულა
 - კატეგორია იპოთეკური სესხი 5 000 PLUS ქულა
- 6.4. ნაღდი ანგარიშსწორებით შესრულებული **გადახდის ოპერაციის** დროს **PLUS ანგარიშზე ქულების** დარიცხვის წესი:
- 6.4.1. **ბანკის** მიერ განსაზღვრულ სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში ნაღდი ანგარიშსწორებისას ყოველ გადახდილ 1 ლარზე **პროგრამის მონაწილე** აგროვებს 1 PLUS ქულას: 1 ლარი =1 PLUS ქულა;
 - 6.4.2. **პროგრამის მონაწილე** ვალდებულია ნაღდი ანგარიშსწორებით **გადახდის ოპერაციის** შესრულებისას **ბანკის** აქტიური ბარათის (გარდა ამერიკან ექსპრესის ბარათებისა) POS ტერმინალზე გატარების გზით დააფიქსიროს **გადახდის ოპერაცია**, რომელიც შემდგომ აისახება **პროგრამის მონაწილის PLUS ანგარიშზე ქულების** დარიცხვით.
 - 6.4.3. **ბანკი** უფლებამოსილია ცალკეულ სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში, კალენდარული დღის კრილში ნაღდი ანგარიშსწორებით შესრულებულ **გადახდის ოპერაციებზე** შეზღუდოს დასარიცხი

ქულების რაოდენობა და დააწესოს ლიმიტი. ასეთ შემთხვევაში ლიმიტს ზემოთ შესრულებულ გადახდის ოპერაციებზე ქულების დარიცხვა არ მოხდება.

- 6.4.4. ქულების დარიცხვა შესაძლოა არ მოხდეს პროგრამის მონაწილის PLUS ანგარიშზე, იმ შემთხვევაში თუ სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტს ტექნიკური ან სხვა ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეზღუდული აქვს ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის ოპერაციისას დასარიცხი ქულების ასახვის შესაძლებლობა.
- 6.4.5. სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი, სადაც ბანკის მიერ დაშვებულია ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის ოპერაციის შესრულება, განთავსებულია ვებ-გვერდზე www.plus.ge.

7. ქულების გამოყენება სერვისის/მომსახურების ბალანსის მიღების მიზნით

- 7.1. პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს, გამოიყენოს PLUS ანგარიშზე არსებული ქულები სერვისის/მომსახურების ბალანსის მიღების მიზნით.
- 7.2. პროგრამის მონაწილეს არ აქვს უფლება გაყიდოს მის PLUS ანგარიშზე არსებული ქულები.
- 7.3. პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს, გადაცვალოს ქულები მისთვის სასურველ სერვისში, თუ შესრულდება შემდეგი აუცილებელი პირობები:
 - 7.3.1. პროგრამის მონაწილეს არ აქვს დავალიანება.
 - 7.3.2. პროგრამის მონაწილეს PLUS ანგარიშზე აქვს ქულების საკმარისი რაოდენობა სერვისში გადასაცვლელად.
- 7.4. ბანკი თავად განსაზღვრავს სერვისების ჩამონათვალს, რომლებზეც პროგრამის მონაწილეს შეუძლია ქულების გადაცვალება.
- 7.5. ბანკი თავად განსაზღვრავს ყოველი სერვისის ნომინალურ ღირებულებას.
- 7.6. სერვისების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები მოცემულია საქართველოს ბანკის ვებ-გვერდზე, პროგრამის ვებ-გვერდზე www.plus.ge, საქართველოს ბანკის გადახდის აპარატში, დისტანციურ მომსახურება ინტერნეტ ბანკსა და Express Online-ის პლატფორმაზე. ბანკს უფლება აქვს კლიენტის შეტყობინების გარეშე ნებისმიერ დროს შეცვალოს არსებული სერვისების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები.
- 7.7. თუ ბეჭდურ მასალებში მითითებული სერვისების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები არ ემთხვევა საქართველოს ბანკის გადახდის აპარატის, პროგრამის ვებ-გვერდზე www.plus.ge, დისტანციურ მომსახურება ინტერნეტ ბანკსა და Express Online-ში არსებულ ჩამონათვალს/ნომინალურ ღირებულებებს, ბანკმა და პროგრამის მონაწილემ უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს ბანკის გადახდის აპარატში, www.plus.ge-ზე, ასევე დისტანციურ მომსახურება ინტერნეტ ბანკსა და Express Online-ში არსებული ჩამონათვალით.
- 7.8. ბანკს უფლება აქვს, სერვისების და მათი ნომინალური ღირებულებების შესახებ ინფორმაცია კლიენტს მიაწოდოს ბანკისთვის მისაღები ერთ-ერთი ან ერთდროულად რამდენიმე საშუალების გამოყენებით. ესენია:
 - 7.8.1. ელექტრონული ფოსტა;
 - 7.8.2. მოკლე ტექსტური შეტყობინება;
 - 7.8.3. საქართველოს ბანკის გადახდის აპარატი;
 - 7.8.4. www.plus.ge;
 - 7.8.5. Express Online-ი/დისტანციური მომსახურება ინტერნეტ ბანკი.

8. ქულების გამოყენება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში POS ტერმინალის გამოყენებით

- 8.1. პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს, POS ტერმინალის საშუალებით, გამოიყენოს PLUS ანგარიშზე არსებული ქულები სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში პროდუქტის ან მომსახურების მიღების მიზნით.
- 8.2. პროგრამის მონაწილეს არ აქვს უფლება გაყიდოს მის PLUS ანგარიშზე არსებული ქულები.
- 8.3. პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს, გადაცვალოს ქულები მისთვის სასურველ პროდუქტში ან მომსახურებაში, თუ შესრულდება შემდეგი აუცილებელი პირობები:
 - 8.3.1. პროგრამის მონაწილეს არ აქვს დავალიანება.
 - 8.3.2. პროგრამის მონაწილეს PLUS ანგარიშზე აქვს ქულების საკმარისი რაოდენობა გადასაცვლელად.
- 8.4. ბანკი თავად განსაზღვრავს სავაჭრო და მომსახურების ობიექტების ჩამონათვალს, სადაც პროგრამის მონაწილეს შეუძლია ქულების გადაცვლა POS ტერმინალის გამოყენებით.
- 8.5. ბანკი თავად განსაზღვრავს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ქულების გადაცვლის ოპერაციის ნომინალურ ღირებულებას.
- 8.6. სერვისების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები მოცემულია საქართველოს ბანკის ვებ-გვერდზე, პროგრამის ვებ-გვერდზე www.plus.ge.
- 8.7. ბანკს უფლება აქვს კლიენტის შეტყობინების გარეშე ნებისმიერ დროს შეცვალოს არსებული სერვისების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები.

9. ქულების გამოყენება PLUS კატალოგის საჩუქრის მიღების მიზნით

- 9.1. პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს გამოიყენოს PLUS ანგარიშზე არსებული ქულები წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების შესაბამისად PLUS კატალოგის საჩუქრის მიღების მიზნით.
- 9.2. პროგრამის მონაწილეს უფლება აქვს გაცვალოს ქულები PLUS კატალოგის მისთვის სასურველ საჩუქარზე თუ შესრულდება შემდეგი აუცილებელი პირობები:
 - 9.2.1. პროგრამის მონაწილეს არ აქვს დავალიანება;
 - 9.2.2. პროგრამის მონაწილეს PLUS ანგარიშზე აქვს საკმარისი ქულების რაოდენობა საჩუქრის შესაკვეთად.
- 9.3. ბანკი თავად განსაზღვრავს საჩუქრების ჩამონათვალს, რომელთა მიღება პროგრამის მონაწილეს შეუძლია PLUS ქულებით შეკვეთის კოდის მეშვეობით.
- 9.4. ბანკი თავად განსაზღვრავს ყოველი საჩუქრის ნომინალურ ღირებულებას.
- 9.5. საჩუქრების ჩამონათვალი და მათი ნომინალური ღირებულებები მოცემულია PLUS კატალოგში. ბანკს უფლება აქვს პროგრამის მონაწილის შეტყობინების გარეშე ცალმხრივად ნებისმიერ დროს შეცვალოს PLUS კატალოგში არსებული საჩუქრების ჩამონათვალი ან/და საჩუქრების ნომინალური ღირებულებები.
- 9.6. თუ ბეჭდურ კატალოგში მითითებული საჩუქრების ჩამონათვალი ან/და საჩუქრების ნომინალური ღირებულებები არ ემთხვევა ინტერნეტ კატალოგის ჩამონათვალს ან/და საჩუქრების ნომინალური ღირებულებებს, ბანკმა და პროგრამის მონაწილემ უნდა იხელმძღვანელონ ინტერნეტ კატალოგით.
- 9.7. ბანკს უფლება აქვს საჩუქრების ან/და საჩუქრების ნომინალური ღირებულებების შესახებ ინფორმაცია პროგრამის მონაწილეს მიაწოდოს ბანკისათვის მისაღები ერთ-ერთი ან ერთდროულად რამოდენიმე საშუალების გამოყენებით, ესენია:
 - 9.7.1. ელექტრონული ფოსტა;
 - 9.7.2. მოკლე ტექსტური შეტყობინება;
 - 9.7.3. ბანკის დისტანციური მომსახურება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით;
 - 9.7.4. პროგრამის ვებ-გვერდის: www.plus.ge მეშვეობით;
- 9.8. კატალოგში არსებულ ყოველ საჩუქარს მინიჭებული აქვს საჩუქრის უნიკალური მაიდენტიფიცირებელი კოდი, რომელიც განასხვავებს მას სხვა საჩუქრებისგან.

10. საჩუქრის შეკვეთა

- 10.1. PLUS კატალოგიდან საჩუქრის შეკვეთა შესაძლებელია შემდეგი არხების მეშვეობით:
 - 10.1.1. ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში პროგრამის მონაწილის მიერ შესაბამისი განაცხადის ბანკისთვის წარდგენის საფუძველზე - პროგრამის მონაწილეს გადაეცემა საჩუქრის შეკვეთის განაცხადი ბეჭდური ფორმით, ასევე ეგზავნება სმს შეტყობინება, სადაც განსაზღვრულია პროგრამის მონაწილის მიერ შერჩეული საჩუქარი და აღნიშნული საჩუქრის მისაღებად საჭირო შეკვეთის კოდი.
 - 10.1.2. პროგრამის მონაწილეს ბანკის დისტანციური მომსახურება ინტერნეტ ბანკით შესაძლებლობა აქვს შეუკვეთოს მისთვის სასურველი საჩუქარი. აღნიშნული არხით საჩუქრის შეკვეთის დროს პროგრამის მონაწილეს ეგზავნება სმს შეტყობინება საჩუქრის და შეკვეთის კოდის მითითებით, დამატებით პროგრამის მონაწილეს შეუძლია მიმართოს ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრს და მოითხოვოს პროგრამის ფარგლებში საჩუქრის შეკვეთის განაცხადის დაბეჭდვა.
 - 10.1.3. პროგრამის მონაწილეს ბანკის პროგრამის ვებგვერდით www.plus.ge - შესაძლებლობა აქვს შეუკვეთოს მისთვის სასურველი საჩუქარი.
- 10.2. საჩუქრის შეკვეთა შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დოკუმენტის მე-9 მუხლის 9.2. ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულების შემთხვევაში.
- 10.3. საჩუქრის შეკვეთის მომენტში ხდება შესაბამისი საჩუქრისათვის განსაზღვრული საჩუქრის ნომინალური ღირებულების შესაბამისი ქულების დაბლოკვა შესაბამის PLUS ანგარიშზე.
- 10.4. საჩუქრის შეკვეთის კოდი მოქმედია შეკვეთიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში პროგრამის მონაწილე არ გამოიყენებს შეკვეთის კოდს შესაბამისი საჩუქრის მისაღებად, მას ავტომატურად განებლოკება შესაბამისი ქულები PLUS ანგარიშზე.
- 10.5. საჩუქრის შეკვეთის განაცხადში მითითებულია შემდეგი ინფორმაცია:
 - 10.5.1. პროგრამის მონაწილის სახელი და გვარი;
 - 10.5.2. პროგრამის მონაწილის პირადი ნომერი;
 - 10.5.3. ბანკში პროგრამის მონაწილის კოდი;
 - 10.5.4. შეკვეთის კოდი;
 - 10.5.5. საჩუქრის დასახელება;
 - 10.5.6. საჩუქრის კოდი;
 - 10.5.7. საჩუქრის მისაღებად საჭირო ქულა;

- 10.5.8. იმ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის დასახელება, რომლის მიერაც **პროგრამის მონაწილის** მიერ საჩუქრის შეკვეთის კოდის წარდგენის საფუძველზე უნდა განხორციელდეს საჩუქრის გაცემა;
- 10.5.9. საჩუქრის შეკვეთის თარიღი;
- 10.5.10. **შეკვეთის კოდის** მოქმედების ვადა.
- 10.6. საჩუქრის მისაღებად **პროგრამის მონაწილემ** უნდა მიმართოს სავაჭრო/მომსახურების ობიექტს, რომელიც მითითებული არის **კატალოგში** და საჩუქრის შეკვეთის განაცხადში, ასევე **პროგრამის მონაწილისათვის** გაგზავნილ სმს შეტყობინებაში.
- 10.7. სავაჭრო/მომსახურების ობიექტში საჩუქრის გაცემა მოხდება მხოლოდ **შეკვეთის კოდის** წარმოდგენი პირის მიერ მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის საფუძველზე.
- 10.8. **პროგრამის მონაწილის** მიერ საჩუქრის მიღების შემდეგ ხდება საჩუქრის ნომინალური ღირებულების შესაბამისი **ქულების PLUS ანგარიშიდან** ჩამოჭრა.
- 10.9. შეკვეთის გაუქმება შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში მხოლოდ შეკვეთის მოქმედების პერიოდის განმავლობაში..
- 10.10. თუ **პროგრამის მონაწილეს** სურს შეკვეთის გაუქმება და დაცული არის წინამდებარე დოკუმენტის მე-8 მუხლის 8.9 პუნქტით განსაზღვრული პირობა, **პროგრამის მონაწილემ** უნდა მიმართოს ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრს და შეავსოს შეკვეთის გაუქმების განაცხადი. **პროგრამის მონაწილის PLUS ანგარიშზე საჩუქრის ნომინალური ღირებულების** შესაბამისი **ქულები** განიბლოკება ბანკში დადგენილი პირობების შესაბამისად.

11. PLUS ქულების გადარიცხვა

- 11.1. **პროგრამის მონაწილეს** უფლება აქვს ბანკის დისტანციური მომსახურება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით **პროგრამის** სხვა მონაწილეს გადაურიცხოს **ქულები** იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია შემდეგი აუცილებელი პირობები:
 - 11.1.1. **პროგრამის მონაწილეს** არ აქვს **დავალიანება**;
 - 11.1.2. **პროგრამის მონაწილეს ქულების** გადარიცხვის შესასრულებლად **PLUS ანგარიშზე** აქვს საკმარისი **ქულების** რაოდენობა.
- 11.2. **პროგრამის მონაწილის** მიერ **ბანკის** დისტანციური მომსახურება ინტერნეტ ბანკის შესაბამის განყოფილებაში მიეთითება **ქულების** მიმღების პირადი ნომერი.

12. PLUS ქულების დარიცხვა პრომო აქციების ფარგლებში

- 12.1. ბანკს უფლება აქვს, ჩაატაროს **პრომო აქციები** (მათ შორის მესამე პირთა მონაწილეობით), რომელთა ფარგლებშიც მოხდება **ქულების** დარიცხვა მე-6 თავში აღწერილი სქემისგან განსხვავებული წესით.
- 12.2. ბანკის გადაწყვეტილებით, **პრომო აქციებში** მონაწილეობას მიიღებს **პროგრამის** ყველა მონაწილე ან მათი გარკვეული ჯგუფები
- 12.3. ბანკი თავად განსაზღვრავს:
 - 12.3.1. **პრომო აქციის** ხანგრძლივობას;
 - 12.3.2. **პრომო აქციაში** მონაწილე ჯგუფებს;
 - 12.3.3. **გადახდის ოპერაციის** დამატებით კრიტერიუმებს;
 - 12.3.4. **პრომო აქციის** ფარგლებში დასარიცხი **ქულების** რაოდენობას;
 - 12.3.5. **პრომო აქციის** ჩატარების სხვა პირობებს.

13. PLUS ქულების ჩამოჭრის ცალმხრივი უფლება

- 13.1. ბანკს უფლება აქვს, ჩამოაჭრას **ქულები პროგრამის მონაწილეს** შესაბამისი **PLUS ანგარიშიდან**, თუ:
 - 13.1.1. ბანკმა შეცდომით ჩარიცხა **ქულები პროგრამის მონაწილის PLUS ანგარიშზე**.
 - 13.1.2. **კლიენტმა** ბანკში დადგენილი წესით გაასაჩივრა საგადახდო ბარათით ჩატარებული **გადახდის ოპერაცია**, რომელზეც მას დაერიცხა **ქულები**.
 - 13.1.3. **გადახდის ოპერაცია** არ აკმაყოფილებს 6.1 ქვეპუნქტში მითითებულ რომელიმე პირობას.
 - 13.1.4. **პროგრამის მონაწილემ** ან/და დამატებით ბარათის მფლობელმა დააბრუნა (უარი განაცხადა მიღებაზე) სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ბარათით შეძენილი ნივთი/მომსახურება, რისთვისაც შესრულებული **გადახდის ოპერაციისთვის** დაერიცხა **ქულები**.
- 13.2. 13.1 ქვეპუნქტში აღწერილი შემთხვევების დადგომისას, **ქულების** ჩამოჭრა არ საჩივრდება.

14. ინფორმაცია PLUS ანგარიშზე არსებული ქულების შესახებ

- 14.1. **PLUS ანგარიშზე** არსებული **ქულების** შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
 - **ბანკის** ნებისმიერი სერვისცენტრში;

- სატელეფონო ცენტრის მეშვეობით;
- პროგრამის ვებ-გვერდზე www.plus.ge;
- ზანკის დისტანციური მომსახურება ინტერნეტ ზანკის მეშვეობით;
- ასევე სმს ტექსტის PLUS გაგზავნით ნომერზე 4444.

15. პროგრამა PLUS-ის შეჩერება

- 15.1. დავალიანების დაფიქსირების მომენტიდან პროგრამა ითვლება შეჩერებულად, რაც გულისხმობს, რომ:
 - 15.1.1. შეუძლებელი ხდება საჩუქრის შეკვეთა;
 - 15.1.2. არ ხდება ქულების დაგროვება.
- 15.2. პროგრამა გააქტიურდება დავალიანების სრულად დაფარვიდან მომდევნო საბანკო დღეს;
- 15.3. პროგრამის საბანკო და არასაბანკო ბენეფიტებით სარგებლობა შეუჩერდებათ პროგრამის იმ მონაწილეებს, რომელთან აქვთ მიმდინარე 90 დღეზე მეტი ვადით დავალიანება.

16. განსაკუთრებული პირობები

- 16.1. საბანკო და არასაბანკო ბენეფიტების ჩამონათვალი მითითებულია დანართი N1-ში.
- 16.2. პროგრამის მონაწილე უფლებამოსილია ქულებზე გადაცვლილი სერვისით/მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობის უფლება/საჩუქრის მოთხოვნის/მიღების უფლება გადასცეს მესამე პირს.
- 16.3. ზანკი არ აგებს პასუხს პროგრამის მონაწილის მიერ მიღებული სერვისის ხარისხზე. სერვისის ხარისხთან დაკავშირებული პრეტენზიით პროგრამის მონაწილემ უნდა მიმართოს სერვისის მომწოდებელ პროვაიდერს.
- 16.4. ზანკი არ აგებს პასუხს, თუ პროვაიდერი ვერ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებას.
- 16.5. ზანკს უფლება აქვს, პროგრამაში მონაწილე პროვაიდერს გადასცეს კლიენტის პერსონალური მონაცემები, ეს მონაცემებია: სახელი, გვარი, პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემები, მობილური ტელეფონის ნომერი და პროგრამის მონაწილის სტატუსი.
- 16.6. ზანკი და პროგრამის მონაწილე თანხმებიან, რომ პროგრამის მონაწილის მიერ ქულების მიღების შედეგად წარმოშობილი საშემოსავლო გადასახადის გადახდასა და ადმინისტრირებას, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, განახორციელებს ზანკი.
- 16.7. ზანკი არ აგებს პასუხს პროგრამის მონაწილის მიერ მიღებული საჩუქრის ხარისხზე, კომპლექტაციის სისრულეზე და სხვა ნაკლოვანებებზე. საჩუქრის ხარისხთან დაკავშირებული პრეტენზიით პროგრამის მონაწილემ უნდა მიმართოს საჩუქრის მომწოდებელ სავაჭრო/მომსახურების ობიექტს.
- 16.8. ზანკი არ აგებს პასუხს თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ვერ უზრუნველყოფს საჩუქრის გაცემას. თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ვერ უზრუნველყოფს საჩუქრის გაცემას და შესაბამის ვაუჩერს არ გაუვიდა მოქმედების ვადა, პროგრამის მონაწილის განაცხადის საფუძველზე ზანკი დააბრუნებს საჩუქრის ნომინალური ღირებულების შესაბამის ქულებს მონაწილის PLUS ანგარიშზე, თუ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მიერ საჩუქრის გაუცემლობა დასტურდება შესაბამის საბანკო პროგრამის მიერ.
- 16.9. ზანკს უფლება აქვს პროგრამაში მონაწილე საჩუქრების მომწოდებელ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებს გადასცეს პროგრამის მონაწილის პირადი ინფორმაცია, თუ ეს ინფორმაცია მოითხოვება პროგრამაში მონაწილის იდენტიფიკაციისთვის.
- 16.10. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის კლიენტის მიერ პროგრამაში მონაწილეობის განაცხადის ხელმოწერის და ზანკისათვის გადაცემის დღიდან.
- 16.11. ზანკი უფლებამოსილია ცალმხრივად პროგრამის მონაწილის წინასწარი თუ დამატებითი აქცეპტისა და თანხმობის გარეშე: ა) შეცვალოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ნებისმიერი წესი თუ პირობა, პროგრამის მონაწილისათვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე განხორციელებული შეტყობინების საფუძველზე; ბ) გააუქმოს ნებისმიერ დროს წინამდებარე პირობები შესაბამის განაცხადთან ერთად პროგრამის მონაწილისათვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული წესების შესაბამისად წინამდებარე პირობების შესაბამის განაცხადთან გაუქმების შემთხვევაში დაუყოვნებლივ განხორციელდება პროგრამის დეაქტივაცია და ზანკი უფლებამოსილია გააუქმოს ქულები სრულად.
- 16.12. პროგრამაში მონაწილე კლიენტი უფლებამოსილია გააუქმოს წინამდებარე პირობები შესაბამის განაცხადთან ერთად ნებისმიერ დროს ზანკისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთან, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული წესების შესაბამისად წინამდებარე პირობების შესაბამის განაცხადთან გაუქმების შემთხვევაში დაუყოვნებლივ განხორციელდება პროგრამის დეაქტივაცია და ზანკი უფლებამოსილია გააუქმოს ქულები სრულად.
- 16.13. პროგრამის მონაწილე აღიარებს და თანახმაა, რომ წინამდებარე პირობები მოქმედებს პროგრამის მონაწილის მიერ წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.



16.14. წინამდებარე დოკუმენტში მხოლოდით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

დანართი N1

სტატუსით განსაზღვრული საბანკო და არასაბანკო ბენეფიტები, რომელსაც **პროგრამის მონაწილეს** მიაწვდის ბანკი ან/და პროგრამაში მონაწილე პროვაიდერი:

		ბენეფიტები		
		Classic+	Silver+	Gold+
საბანკო უპირატესობები	ფასდაკლება საკრედიტო ბარათის წლიურ ღირებულებაზე	10%	25%	50%
პროგრამაში მონაწილე პროვაიდერი: სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“	მესამე პირთა წინაშე ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა უფასოდ (ლიმიტები მოცემულია ლარში)	1 000	5 000	10 000
პროგრამაში მონაწილე პროვაიდერი: ევექსის პოლიკლინიკა	თანადაფინანსება ნებისმიერ სპეციალისტთან კონსულტაციაზე, ნებისმიერ ლაბორატორიულ კვლევაზე, ნებისმიერ მაღალტექნოლოგიურ კვლევაზე	20%	25%	30%

დანართი N2

CLASSIC+, SILVER+, GOLD+ სტატუსის მომხმარებელს ევექსის პოლიკლინიკაში მომსახურების მიღება შეუძლია შემდეგ მისამართებზე:

- ვარკეთილის პოლიკლინიკა, ჯავახეთის ქ. 30 (მეტროს მიმდებარედ)
- გლდანის პოლიკლინიკა, გლდანის 1 მკ. რაიონი, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ
- ისნის პოლიკლინიკა, ქეთევან წამებულის გამზ. 69 (ყოფილი პოლიციის შენობა, მეტროს მოპირდაპირე მხარეს)
- მთაწმინდის პოლიკლინიკა, ი. ვეკუას ქ.3 (ყოფილი პირიმზე)
- დიდუბის პოლიკლინიკა, წერეთლის გამზ. 141 (ერისთავის ქუჩის კვეთა)
- დიდი დიდმის პოლიკლინიკა, ი. პეტრიწის ქ. 16
- ბათუმის პოლიკლინიკა, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. 20
- ზუგდიდის პოლიკლინიკა, მ. კოსტავას ქ. 1
- ქუთაისის პოლიკლინიკა, შ. იაშვილის ქ. 9/11
- ჩაქვის პოლიკლინიკა, თ. მეფის ქ. 40, მიმდებარედ
- თელავის პოლიკლინიკა, გია არსენიშვილის ქ. 15
- ფოთის პოლიკლინიკა, გამსახურდიას ქ. 6
- მარნეულის პოლიკლინიკა, რუსთაველის ქ. 53